ISSN 0132-6015

ნიანგი

12

ივნისი

1987

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნახ. ფ. ერისთავისა

— თუ მოდის, გარემ დროზე მოვიდეს ის კომისია, თორემ დავწყდით ხალხი მთელი დღე სამსახურში ყოფნით!..

50 რეზო ამაშუკელი 50

სალაღობო სტრიქონები რეზო ამაშუკელს

ორმოცდაათი წლისაა იგი — პოეტი, კაცი უბრწყინვალესი,
და ბოლო წიგნი, ლამაზი წიგნი, პირველ წიგნივით უჭირავს ხელში.
აქვს არტისტიზმი, ტემპერამენტი ტიციანისა და პაოლოსი,
ანთია მათი ღვთიური დენთით, მათმა სულებმა გზა დაულოცეს!..
იცნობენ ძმობით, კაცობით, ლექსით რეზოს — მასპინძელს ნაღდს და გულითადს —
თვით როჟდესტვენსკი და ვოზნესენსკი, ევტუშენკო და ახმადულინა!..
უშურველია, უღალატოა (ნაკლიც აქვს! — ამას ნუ გამოვრიცხავთ),
უყვარს ირაკლის, უყვარს ჭაბუას, უყვარს მუხრანს და უყვარს მორისსა!..
სიკეთედ ხარჯავს გულს და მარჯვენას, არავის ჩაგრავს (არც უჩაგრია!).
ვისაც, დავუშვათ, ჩემი არ გჯერათ, მიდით და ჰკითხეთ ჯანსუღ ჩარკვიანს!
ხელგაშლილობა (მიამიტობაც) თანდაყოლილი აქვს დედის მუცლით:
თავისთვის ერთ ცალ მისაკს იტოვებს, ჩამოსულ სტუმარს ხუთას ცალს უძღვნის!..
რუსულ ენაზეც ტკბილმოუბარი ზის „ლიტგრუზიას" ერთ-ერთ პატრონად!
თუმც უამრავი ჰყავს მეგობარი, ამაშუკელი ხშირად მარტოა!..
რადგან არ უნდა, რომ იყოს მარტო, ამდენ საღამოს ამიტომ მართავს,
თან ცეცხლოვანი ლექსებით ათბობს (ზამთარში) ხალხით გაჭედილ დარბაზს!..
და საკუთარი ბინა ჰგონია მას სახელმწიფო ფილარმონია!
...შეხვედრას სთხოვენ — კალთას ახევენ, არ ეშვებიან, არ ასვენებენ!..
და ისიც ხვდება მევენახეებს, მეჩაიეებს და ჩარხმშენებლებს!..
უცხოეთს, სადაც უნდა გაეზავნონ, არსად არ აჭმევს თავის ერს სირცხვილს!..
არის ჯენტლმენი უზარმაზარი და ინგლისურიც, ამბობენ, იცის!
მამულისათვის თავის დადება უჩანს მღერად და უჩანს თამაშად!
გეტყვით, თუკი არ გამიბრაზდება: მას მოფერებით ჰქვია ამაშა!
მშობელი ქვეყნის, მშობელი ხალხის ჭირით და ლხინით იმუხტავს სათქმელს
და იმ საღამოს საღამოდ არ თვლის, თუკი საღამო არა აქვს სადმე!
მშვენივრად ხატავს, უკრავს და მღერის, ღიმილით დავსძენ ამასაც იქვე:
უხვად ასხივებს ლაღ, კეთილ ღიმილს, ხალას იუმორს ხალისით აფრქვევს!
ძმურად ვეხვევი, ვკოცნი, ვულოცავ და სალაღობოს ასე ვუმთავრებ:
დე, ნუ მოშლოდეს ნურც მიწა, ნურც ცა, ნურც ვარსკვლავები, ნურც მზე, ნურც მთვარე!..

დახატა მერაბ ბერძენიშვილმა ეს მეგობრული შარჟი პარიზში!
გაიცინა თუ არ გაიცინა მაშინ ამაზე რეზომ, — არ ვიცი!

ზაურ გოლეგვაძე

ქუს ტბა



ხელისგულივით ჩანს თბილისი,
— ამ უთენია,
მევსება უბე შაშვის ჭახჭახით
და ვდგავარ ტბასთან
უძილობით, ფიქრით დაღლილი...

მთელი ქალაქი აქ ამოდის,
მანქანების ჯოგს
ამოჰყავს ხალხი,
ჭრელი ხალხი ათასი ჯურის...

და ტბის გარშემო იწყებს სირბილს
მინისტრი,
ქურდი,
საქმოსანი,
ინტელიგენტი...

დარბიან ასე,
ჯინჯილებად ასხმულ ცოდვებით,
რომ წუთისოფელს გამოგლიჯონ
ერთი-ორი დღე...

— ხოლო გორაზე წამომჯდარი
მიქელ-გაბრიელი
სიცილით კვდება!..

ილუსტრაციები ჯ. ლოლუასი

ნახ. გ. ლომიძისა

არ არის სამართლიანი, როცა უმაღლესი სასწავლებლის ერთი წყება კურსდამთავრებულებისათვის სავალდებულოა განაწილებით მუშაობა, მეორენი კი მაშინვე ეწყობიან ორდინატურასა ან ასპირანტურაში, თანაც უსათუოდ თავიანთი მშობლების კათედრებზე, იცავენ დისერტაციებს, შემდეგ კი იმავე კათედრებზე განაგრძობენ მუშაობას. ისეთი ფაქტებიც კია, როცა მთელი ოჯახები მუშაობენ ერთ კათედრაზე.

— მანანა, მამიდაშენმა შემოგითვალათ, ვახომ, როგორც იქნა, დაამთავრა ინსტიტუტი და კათედრაზე რამე ადგილი ხომ არ დაგრჩათო?



გამანაწილებელი ხელი

ვაი-მჭვრეტელი

როგორადაც უნდა გაუკვირდეთ საქონლის მოგების მიზნით შესყიდვისა და უფრო ძვირად მისი გაყიდვის ტრფიალთ, ამ საქმეს ლათინურად **Specculatio** ჰქვია, რაც ჩვენი ქართულით **ზვერვას**, ანუ **ჭვრეტას** ნიშნავს და საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 165-ე მუხლით ისჯება. აქედან გამომდინარე სპეკულანტს, მზვერავს, ანუ მჭვრეტელს, სულ მცირე ათასამდე დღე-ღამის განმავლობაში შეუძლია ზვეროს და ჭვრიტოს ოთხი კედლიდან. ალალი და უსაყვედუროა, აამოს!

ეს — რაც შეეხებოდა საქმის იურიდიულ, საკოდექსო მხარეს კონკრეტულად და ლინგვისტიკას — ზოგადად. ახლა კი მივხედოთ ჩვეულებრივ პროზას, ესე იგი ამბავს **ვანელი ახალგაზრდა კაცისას, რომელსაც უშრომლად სურდა გამდიდრებულიყო ერთობ საჭოჭმანო გზებით და აკრძალული ილეთებით.**

ომარ შენგელიაზე მოგახსენებთ, **დაბა ვანის კოლმეურნეობის ვაი-წევრზე**, მოსკოველთა სიძე კაცზე და, უკაცრავად პასუხია, სპეკულანტზე.

თქმა არ უნდა, ძნელია ახლა იმის დადგენა, თუ რა მიზნით და მოსაზრებით ჩავიდა ბატონი **ომარი** პირველად ქვეყნის დედაქალაქში. თუმცა ვაზისა და ყანის სიყვარულით რომ არ მიუტოვებია მშობლიური მხარე, ესეც ცხადია. იმასაც სარწმუნოდ მივიჩნევთ, რომ ოქროს საწმისის ქვეყნიდან ჩასული ჭაბუკი მოიხიბლა მოსკოველი ასულით და შექმნა ოჯახი. მაგრამ რამ აიძულა მოსკოვში ჩაწერილი **ომარი** ამოწერილიყო იქიდან და ისევ ჩაწერილიყო დაბა ვანში, მამისეულ ოჯახში? მსჯელობისა და კამათის მოყვარულთ ჭიანჭველის ნაკვალევზე გაჩენილ ზვავებზეც კი გაუთავებლად შეუძლიათ ივაგლახონ: გამოთქვან აზრი, მოიშველიონ ალიბი, მოიმიზეზონ სულის სათნოებით გაღვიძებული ნატვრა და სხვა. თუმცა კონკრეტულ სიტუაციაში ომარის ნაბიჯს ერთადერთი ახსნა მოეპოვება: მოსკოვში ჩაწერილ კაცს უნდა ემუშავა! იქ კანონით დაწესებულ ამ მოთხოვნას ძნელად თუ გადავა ვინმე. ასეთი რამ კი ომარს მიზნის განხორციელებაში არ აძლევდა ხელს. აბა, როგორ უნდა ემუშავა კაცს, რომელიც დღენიადაგ ფულზე ფიქრობდა. მოსკოვში ყოფნისას საქონლის შეძენაზე ჩალიჩობდა, ვანში ჩამოსული—გასაღებაზე.

დიახ... და ამ საპატიო მოსაზრების გამო **გამოსკოველებული ვანელი ომარი ისევ ვანელი გახდა.**

ლოგიკურია და ვინ დაუშლის ომარს, თუ გნებავთ, თვეში ორჯერ იმოგზაუროს მოსკოვში და პირუკუ, მეტიც — სამი, ოთხი გზა გააკეთოს, თუ ნებავს, ბოლოს და ბოლოს, მეუღლისა და შვილების სიყვარულს ვინ დაუშლის, თუ საამისო სახსარი აქვს?

ჰოდა, აი, ძლივს არ მოვედით სათქმელთან? სახსარი დიახაც ჰქონდა **ომარ შენგელიას**. რა გზით, რამდენი და საიდან? ამას სათანადო ორგანოები ირკვევენ. ჰოდა, ეს გზას დამდგარი კაცი მიდი-მოდიოდა აქედან იქით, იქიდან აქეთ, ეზიდებოდა საჩუქრებს და მარტო მოსკოველებს კი არ ახარებდა, ვანელებსაც არ წყვეტდა გულს. ასე მაგალითად, დედაქალაქიდან ბოლო ჩამოსვლისას **ომარმა** ხუთი ათასი მანეთის საერთო ღირებულების იმპორტული სამრეწველო საქონელი ჩამოიტანა თანამემამულეთა გასახარად. რა გინდოდა, სულო და გულო: პერანგებიო, კაბებიო, შარვლებიო, ფეხსაცმელებიო, კურტაკებიო... 24 წყვილი მარტო ქალის ჩექმა რად ღირს?!.

— ესაო, — ბრძანებდა **ომარი**, — ახლობლებისთვისაო, ნაცნობებისთვისაო, ნათლულებისთვისაო...

გაგიგონიათ?! არ დაუჯერეს, არ ერწმუნენ, არ ენდნენ.

— რატომაო? — იკითხავს გულშემატკივარი.

— იმიტომ, რომ, — ვუპასუხებთ, — **ომარ შენგელიას** ხშირი მიმოსვლა ჰქონდა დიდ ქალაქში და, როგორც ამბობენ, არც მარტო ცოლ-შვილის სიყვარულით სჩადიოდა ამას.

ესაო, Confiscatio-ო, უთხრეს და ამ ლათინურის ქართული აზრიც ამცნეს — ქონების ჩამორთმევა სახელმწიფოს სასარგებლოდ.

რისთვის დაატყდა თავს ეს უბედურება, ხომ ვთქვით, თუმცა გავიმეორებთ გულმავიწყთა შესაგონებლად: მოგების მიზნით უკანონოდ შესყიდვისა და უფრო ძვირად გაყიდვისათვის!

თითქმის უწყინარი საქმეა, — ერთი შეხედვით, რაღა თქმა უნდა!

ანზორ ცხვედიანი,

ვანის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების უფროსის მოადგილე, მილიციის კაპიტანი.

დავით ასკურავა,

„ნიანგის“ კორესპონდენტი.

ჩაშლილი ქორწილი

ერთ მშვიდ საღამოს მეუღლემ თვალები დამიბრიალა
და მოსაწვევი ბარათი ზედ ცხვირწინ ამიფრიალა!..
მერე კოპები შეიკრა და დაიკივლა ცივი ხმით
(შევატყვე, მისი კივილის მსხვერპლი ვხდებოდი დიდი
ხნით!).
და როცა ფეხზე წამოვდექ, დღე დამაყენა ისეთი,
მის „რეჩებს“ სუნთქვაშეკრული გათენებამდე ვისმენდი!..
ბოლოს, როდესაც დაეტყო დაღლა და დაძაბუნება,
მიბრძანა: „სძლიე ქორწილის და დროსტარების
ცდუნებას!
სანამ არ გეტყვი, სახლიდან ფეხი არ გქონდეს
მოცვლილი!
მგონი, ოჯახის კაცი ხარ და არა ვიღაც მოცლილი!“
როდესაც ძილმა დასძალა (ღმერთმა დამხედა
მაღლიდან!),
ცოფიანივით გავვარდი ციხედქცეული სახლიდან!..

. . .

მასპინძლის ნაცვლად ჭიშკართან შემომხვდა მისი
მძახალი,
მითხრა: „გერვასი შოკშია, ფეხზე ვერ დგება საწყალი!..
დასუსტებულს და ჯანდაცლილს სჭირდება სისხლის
გადასხმა,
ხუმრობა ხომ არ გგონია ათასი კაცის ჭამა-სმა?!
უკანდახევა არ უყვარს, ხარჯებში ძლიერ შეტოპა,
იმდენი სარჩო მოზიდა, მთელს სოფელს ერთ თვეს
ეყოფა!
მაგრამ სულელიც არ არის: იცის, დარჩება მოგება
და არა მარტო ქორწილის ხარჯები დაეზოგება!..
არ გესმის?! გვერდით ოთახში ფულებს გაუდის ტკიცინი,
სულ მალე შენც იქ მოხვდები, ახლა რომ ნაზად იცინი!“

. . .

სუფრა, უხვი და ზღაპრული, ერთ ვერსზე იყო გაშლილი
და სმენად იდგა „მხედრობა“ — სმისთვის
საღერღელაშლილი!..
ღირსების სრული შეგნებით, ვით ღვაწლმოსილი
მგოსნები,
ცალკე სუფრასთან შეჯგუფდნენ მომღერალ-მუსიკოსები!..
თამადამ ჭიქა ასწია, რიხით გაჰხედა მხედრობას
და დღეგრძელობა მარადი უსურვა ნეფე-დედოფალს!
იყო ჭიქების, ყანწების, კათხების გაცვლა-გამოცვლა,
მერიქიფეებს სირბილით კინაღამ სული ამოძვრათ!..
ვიღაცა სუფრის ბოლოში ფეხის წვერებზე იწევდა,
ალავერდს ისე მაწვდიდა, თითქოს დუელში მიწვევდა!..
და ზეიმობდა სუფრაზე გამარჯვებული ბახუსი,
თამადა ქუხდა: „დაცალეთ, თუ შეგრჩათ სინდის-ნამუსი!“
როცა მაყრების დალაშქვრას შეუდგა სუფრის თავკაცი,
ვიღაცა ციმციმ ასწიეს და გაასვენეს საკაცით!.
შეიქნა ძიძგილაობა, ჩხუბი და აყალმაყალი!..
მძახალი მძახალს ებრძოდა, მაყარს ვერ ცნობდა
მაყარი!..
ერთ მერიქიფეს ვიღაცამ სახეში ჩასცხო შამფური
და, როცა გონი დაჰკარგა, შეუშხაპუნეს ქაფური!..

. . .

„გრანდიოზული“ ქორწილი დამთავრდა წივილ-კივილით
და დამრჩა გაუგონარი სევდა და გულისტკივილი!..

ალმანზორ თავაძე

ნახ. ვ. კუციასი



ჯალაღი „რაშიდან“

მიმაჭროლებს ჩემი „რაში“
აბასთუმნის შარაგზაზე!..
გადარევით, „რადარებით“
ინსპექტორი გავაბრაზე!..

გავიფიქრე: — „ვოლგაში“
ვარ,
ვერვინ მოვა ჩემზედაო!..
გავიხედე — დავინახე
ინსპექტორი ხერზედაო!..
წინ მოტოციკლი ეყენა,
დაგეშილი ჩემზედაო!..
გავექეცი!.. ამომიდგა
მაყარივით გვერდზედაო!

ხაზი მოგვდევს, როგორც
ყველი
წვრილ-წვრილ
ლამბაქებზედაო!.
შარაგზაზე ვუსწრებ,
მაგრამ
რა ვქნა ბილიკებზედაო?!

ალმართში მე გავუსწარი,
იმან —
თავდალმართზედაო!..
გზა მომიკრა, გადამიდგა
აბასთუმნის
წყალზედაო!..

„აბა, ამას ჩამბერეო!“
მაწოდებდა რაღაც თასებს.
მე მეგონა ჩაის ბიჭა —
ატენური დვინით სავსე!..

გადმომიღეს ჩემ „რაშიდან“
სხვა ტრანსპორტში
მომათავსეს,
ის გამოსაფხიზლებელი
ძმაკაცებით იყო სავსე!..

აგაშენა, ინსპექტორო,
ალარასდროს ჩავიკრები:
ასე როგორ მომიგროვე
ამოდენა ძმაბიჭები?!

ცივი შხაპით გაგვახარეს
ყველა მძღოლი ბედნიერი,
დილამდე არ შეწყვეტილა
ჩვენი „მრავალჟამიერი“!

ვერ მიშველა ვაჟკაცობამ,
სიჩაუქემ, სილამაზემ:
გამიყიდეს ჩემი „რაში“,
მანქანების ბაზრობაზე!

ქართლოს ქასრაძე

ნახ. მ. აბაშიძისა

— სად მიგყავთ გუშაგი?!
— ამხელა მანქანა ვერ დაინახა და სამკურნალოდ მიგვყავს თვალის ექიმთან!..

ნახ. ჯ. ლოლუასი

— მამი, ეს საქმეა, ამ ჯაბახანა მანქანით რომ დავდივარ ინსტიტუტში?!
— შვილო, შენ ოღონდ ინსტიტუტში იარე და „ინომარკას“ გიყიდი!



„გამაოცა ერთმა: თქვენს ქალაქში მთელი დღის მანძილზე პიკის საათია“.

უცხოელი სტუმრის სიტყვები (ქართული გაზეთებიდან)

მეოცე წელი გახდება,
რაც არ ვყოფილვარ
ქალაქში,
ერთკაცობაზე მეც ვცხოვრობ
მთაში, მამ-პაპის ალაგში.

გავკვირდი აქ ჩამოსული:
ველარ გამივლავ გზაზედა,
კუდიკუდს გადაბმულია
მანქანა მანქანაზედა!..

მთელ დღეს რომ მიდი-
მოდიხართ
ამ მანქანებში ჩამსხდრები,
ნიადაგ დაღიპივნდებით, —
რისათ იქნებით
გამხდრები?!

აღმა და დაღმა დაქრიხართ,
მიაყვირ-მიაკაკანებთ!..
ან საქმეს როდის აკეთებთ,
ან ცოლ-შვილს როდის
აკვალებთ?!

მტრისასა, მე რომ აქ
ვნახე, —
ამდენ კაც, საქმეს
მამცდარი!..
ნიადაგ ხორც არ გექნებათ,
ყანაც ვექნებათ მამცდარი!..



გზა არა ყოფნის, ვაჟებო,
ტრანსპორტს, პროსპექტებს
შეფენილს,
თან ამბობთ:
„მოვიკვეთოთო
უშრომლად მჭამელ-
მთქვლეფელი!“

თქვენ შეეკითხეთ თქვენს
თავსა,
მე თუ მცდარს ვამბობ
სათქმელსა:
ამდენ ხალხ დადის
ქუჩებში, —
ვინლა აკეთებს საქმესა?

რაც გინდა მძრახოთ,
ძმობასა,
რაც გინდა საქმე
გამწვავდეს,
თქვენ ქუჩა-ქუჩა თუ
ივლით,
მეც ფასს ავუწევ სამწვადეს!

ჩაიწერა
ზოთა არაბულმა
(ყაზბეგის რაიონი)

«ეჯეს ეკეთოდ», თოლიე რა გზაა?»

საბჭო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ელისაბერ პრობლემას მოეკიდნა მთელი ვეფრი „ლიტერატურნაია გაზეთ“.

შეიძლება ითქვეს, ეკიეთოდნა – სად „ლიტერატურნაია გაზეთ“ და სად მოძრაობის უსაფრთხოებაა. ეჯეს ერთი რა ხანია, მეტრლეში ჩამოქვეითიდენენ ეკვასეიმდან და ბანქანეში ხასხდენენ, და მეორეე, რამდენი რობანი, ლეკნი, პიესა, ფეიეტეიეთა დაწერილი ერთი მთელიდ ერთი ეკეის, ერთი ქალის, ერთი ბიჭეკის მოკლეანე ან ოთოიმეკეკლეანობეგ. ეკეიოთანეკეს ეი ათასეგი, ათი ათასეგი ეჯეს ერთეანეთ ბსხეკანდა.

**ეჯეს ბეერია ეკეიე, ქალეკ, ბიეჯეკ, ეკეკ ეთქეთ, ბეერია, ეკეკ ეთქეთ, ეკეკ ეთქეთ, ეკეკ ეთქეთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახ. შ. ლელაძისა

— რამდენჯერ გაგაფრთხილე, ავტომაღაზიაში ნაწილებს თავის ფასში ნუ მოითხოვ-მეთქი?!

ღია გარათი „ძიგულის“ მძღოლს, რომლის მანქანის ნომერია 0008, ანუ ნოდარ გურეშიძის ჟურნალ „ნიანგის“ ა/წ. მეორე ნომერში დაბეჭდილი „შემთხვევის“ გაგრძელება

უცხოური იუმორი

ქუჩაში მოძრაობის პრობლემა

— ჩემთვის რომ დაევალებინათ, უმალვე გადავწყვეტდი ქუჩაში მოძრაობის პრობლემას! — თქვა ფირუზა თავკერძაშვილმა, სავარძელში მოხერხებულად მოიკალათა, ღვინის ჭიქით კონიაკი გადაკრა და სიგარეტის კვამლის ბოლქვები კაფეს ჭერს შეაფრქვია.

— მართლა?! — ჰკითხეს ასეთი თამამი განცხადებით გაბრუებულმა თანამესუფრეებმა და თავიანთი სკამებით მასთან უფრო ახლოს მიჩოჩდნენ. — მაინც რას გააკეთებდი?

— უპირველეს ყოვლისა, ტროტუარებს მოვსპობდი. ყოველგვარი ბორტუტება იქიდან იწყება!..

— მაშ, ფეხით მოსიარულეებს რა უნდა ვუყოთ?!

— რა და, არაფერი! ეშმაკსაც წაუღია! — კატეგორიულად განაცხადა ფირუზამ. — ამ შუა საუკუნეების გადმონაშთი ქვეითად მოსიარულეებისათვის ისიც ზედმეტია, ქუჩის ორივე მხარეს რამდენიმე მეტრ ადგილს რომ ვუტოვებთ და თანაც იმ დროს, როცა საბრალო შოფრები და ავტომანქანების მფლობელები მოძრაობით გადატვირთული ქუჩებით უნდა კმაყოფილდებოდნენ!

— სრული ჭეშმარიტებაა! — კვერი დაუკრა ფირუზა თავკერძაშვილს ერთმა თანამეინახემ და თან დასძინა: — თურმე ისეთი ფეხით მოსიარულეებიც არსებობენ, რომელთაც სეირნობა მოსწონთ!..

— რაო! — მეტისმეტი აღშფოთებისაგან სიტყვა აღარ დაასრულებინა მაგიდის წევრს თამადამ, ანუ იგივე ფირუზამ, — მე, მაგალითად, იანტა უფრო მომწონს, მაგრამ ჩემს უბრალო „როლს-როისს“ ვჯერდები. უნდა შეგეძლოს ადამიანს სურვილების დაოკება!

— რაც მართალია, მართალია! — დათანხმდნენ ვისკით უკვე საკმაოდ შეზარხოშებული თანამესუფრეები, — შენ არაფერი გეშლება!

— და იცით, კიდევ რას გავაკეთებდი? — განაგრძო ქებით ფრთაშესხმულმა ვაჟკაცმა, — ფეხით მოსიარულეებს კვირაობითა და უქმე დღეებში ქუჩაში გამოსვლას ავუკრძალავდი. აი, მაშინ მშვენივრად გაემგზავრებოდი კაცი ქალაქგარეთ და იმის ფიქრი არ შეგაწუხებდა, რომ შეიძლებოდა ყოველ წუთს ვინმესთვის მანქანა დაგეჯახებინა, ამ დროს ხომ ყოველთვის ბევრი დრო იკარგება ფორმალობაზე!..

ამ საკმაოდ ხანგრძლივი სერობის შემდეგ ბარბაცით გამოვიდნენ კაფედან და თავიანთი მანქანებისაკენ გასწიეს!..

ესპანურიდან გადმოაქართულა შ. ამირანაშვილმა

ჟურნალ „ნიანგს“ ვკითხულობდი გატაცებით ამ დილას,
პოეტ ნოდარ გურეშიძის ლექსმა გული მატკინა, —
ამდგარა და ის შეუთხზავს, რაც უნახავს თვითონვე
და გულივით გვიწვდიხ ცხარე ცრემლით სავსე სტრიქონებს!..
ლექსი გახლდათ სამძიმარი ძაღლის პატრონ რეგვენზე,
ამნაირ ხალხს არაერთხელ ჩაუვლიათ ჩვენს გვერდზეც.
...მძღოლმა თურმე ძაღლი იხსნა (ლამის თავი გაწირა),
მაგრამ, ვაი, ამ გმირობას თავში იხლი რა ჭირად?!
მძღოლს პატრონმა სამადლობო, თბილი სიტყვის მაგივრად
შუა გზაში, შუა ხალხში უსირცხვილოდ აგინა!..
მგოსნის გული სათნო არის, სასჯელია ლექსობა, —
პოეტს გულში ყველას დარდი ლახვარივით ესობა!..
ტკივილს ლექსი რას უშველის ან ნახშირით დახატვა?
ღმერთო, ღმერთო, გაგვიმრავლე გამკითხავი ახვართა!
გუშინ თავზე რაც გადამხდა, გამიმძაფრა ერთხელაც
ბატონ ნოდარ გურეშიძის მძაფრმა ლექსმა — „შემთხვევამ“.
... საბურთალოს ფართო გზაზე, ბახტრიონის ქუჩაზე,
მანქანებით გამვლელები თვალებს შიშით ხუჭავდნენ!..
ნული, ნული, ნული, სამი ნომრის თეთრი „ჟიგული“
მოაპობდა ძრავთა ტალღას თავგასული, ჯიქური,
ცრიდა ცოტას, იყო ზუსტად თებერვალის თხუთმეტი,
ჩაგვიქროლა, მძღოლი ჩანდა ჰა, თვრამეტის, სულ მეტი!
რა გვეღონა, ტროტუარზე ავხტით თავის საშველად,
ის კვლავ უკან გამოგვენთო და ფეთება გვაჩვენა!..
ლამის ფრთები წაგვაცალა (რომ ვიხსენებ, ვბრაზდები),
არ გვაკმარა, სულ გვაგინა პაპის პაპის გამზრდელი!..
ცრიდა ცოტას, იყო ზუსტად თებერვალის თხუთმეტი,
შვილის ტოლა ჩანდა მძღოლი... ჰა, თვრამეტის, სულ მეტი!
იმ დღის შემდეგ გული კვნესის მოურჩენელ ამ დარდში,
გადმოგვიხტა, ცემას რაღაც ალალ ბედზე გადავრჩით!..
0008 თეთრი ავტოს პატრონო!
დღემდე ახე უპასუხოდ როგორ უნდა დაგტოვო?!
საზღაურს ვერ გადაგიხდი, ვერც დაგადებ ბორკილებს,
გზაზე ველარ ჩაგიხაფრებ კარატისტს და მოკრივეს,
ერთია კი, უნდა გითხრა, პატრონი ხარ იმ ძაღლის,
ნოდარმა რომ დაგვიხატა გულის შემძვრელ ხიმძაფრით!
ღია ბარათს გიწერ ლექსად და გაკმარებ ამ სასჯელს,
0008 ნომრის ავტოს მესაჭეს!

გრიგოლ ჯულუხიძე

— რევიზია მყავს, მამოწმებს!..



ნახ. Გ. ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲘᲡᲐ

— ამ რობოტს კი გარდავქმნი, მაგრამ შენ რა მოგიხერხო?!

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲥᲐᲒᲠᲘᲯᲘᲡᲒᲐᲜᲐᲛᲐᲠᲢᲔᲑᲐ

ᲘᲣᲛᲝᲠᲔᲡᲙᲐ

ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲛᲐ ᲡᲐᲒᲐᲜᲒᲔᲑᲝᲓ მოიწვია აქტივის კრება. ფაქიზად დაკეცილი ცხვირსახოცი ამოიღო, თვალები შეიმშრალა და ბარე ორჯერ აწონილ-გაზომილი სათქმელი დაიწყო.

— ამხანაგებო! სამწუხარო ამბავი უნდა მოგახსენოთ: ჩვენგან მიდის ჩვენი დაწესებულების ბურჯი!.. კოლექტივის სული და გული!..

აქტივის წევრებმა ცხვირსახოცები მოამზადეს. მართალია, ჯერ არავინ იცოდა, რა ხდებოდა, მაგრამ მთავარი იყო, ენერგიულად აჰყოლოდნენ დირექტორს ემოციების გამოხატვაში.

დირექტორი შეყოვნდა, მასაც თავისი გასაჭირი ადგა — საქმე ის იყო, რომ სამსახურიდან მიდიოდა მისი პირველი მოადგილე. ეს უბრალოდ სამსახურიდან წასვლა რომ ყოფილიყო, არც ამდენ ხალხს მოუყრიდა თავს ხელქვეითის გასაცილებლად და, მით უმეტეს, არც გასაჭირში ჩავარდებოდა.

მოადგილეს ტრესტის მმართველის მოადგილედ აწინაურებდნენ და სწორედ ეს ფაქტი აგდებდა დირექტორს ორ ცეცხლშუა — მისი მეტისმეტი შექება საკუთარი პერსონის დაკნინებად ეჩვენებოდა, არადა, სახოტბო ეპითეტებისგან თავშეკავება კი, ვინ იცის, მომავალში სად წაამწარებდა — ყოფილი მოადგილე მისივე ერთ-ერთი უშუალო ხელმძღვანელთაგანი ხდებოდა! დირექტორი შორსმჭვრეტელი კაცი იყო და იფიქრა, სჯობს პირველმა ცეცხლმა დამწვას, ვიდრე მომავალ ხელმძღვანელს ვაწყენინოო, და რიხიანად განაგრძო:

— ჩვენგან მიდის ჩემი მარჯვენა ხელი, ყველასათვის საყვარელი ადამიანი, ჩემი პირველი მოადგილე მამია რაჟდენიჩი, მიდის და მიაქვს ჩვენი გულები!.. ტოვებს მისი წასვლით გულდაწყვეტილ კოლექტივსა და სიკეთის წარუშლელ კვალს!.. მაგრამ გვამშვიდებს ის გარემრება, რომ მას აწინაურებენ — ტრესტის მმართველის მოადგილედ გადაჰყავთ!..

დირექტორმა ერთხელ კიდევ მოავლო მგლოვიარე მზერა დარბაზს და დაჯდა.

მაშ ასე, რაჟდენიჩი მიდის! — ამ განცხადებამ დენივით დაუარა დამსწრეთ. მართალია, ენანებოდათ ერთადერთ საქმიან მუშაკთან დაშორება, მაგრამ ახლა უფრო სხვა რამ იყო მთავარი — თანამდებობა თავისუფლდებოდა! დასანიშნ კანდიდატურას უთუოდ რაჟდენიჩთან შეათანხმებდნენ, ამიტომ თავის გამოჩენა იყო საჭირო.

სიტყვით გამოსულები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ორატორობაში და ეს მხოლოდ დირექტორის მოადგილის სავარძლის მძებნელთ როდი ეხებოდა. რაჟდენიჩის წასვლას შეიძლება ჯაჭვური რეაქცია მოჰყოლოდა — თითო საფეხურით ბევრი გადაინაცვლებდა ზემოთ. ეს კი რაჟდენიჩის ქებისათვის საუკეთესო კატალიზატორი იყო. ყოველივე ამან ქებას მიუჩვეველ რაჟდენიჩს მადლიერების გრძნობა გაუორკეცა და მადლობის სათქმელად წამომდგარს გული აუჩუყდა.

— მეგობრებო, ნამდვილად მიმძიმს თქვენთან განშორება! არ მეგონა, თუ ასეთი ძნელი იქნებოდა მშობლიური კოლექტივის დატოვება, თორემ არც კი დავთანხმდებოდი გადასვლაზე!.. იქნებ ჯერაც არ არის გვიან?!.

რაჟდენიჩის ბოლო სიტყვებმა ცივი წყალი გადაასხა დარბაზს. „ეჰეე!..“ — გაიფიქრეს, — „ნამეტანი მოვიწადინეთ!“ ხმამაღლა კი გულთბილად უკიჟინეს:

— ეს როგორ?!. — ერთმანეთს არ აცლიდნენ დარბაზში, — იქ უფრო გვჭირდებით! რას იზამთ, ზოგჯერ მსხვერპლიც არის საჭირო!

კრების შემდეგ მოსალოდნელი ცვლილებების მოლოდინმა მთელ თვეს გასტანა. ყველა თავისას წუხდა, დირექტორი — იმას, რომ ტრესტს მცოდნე მოადგილე არ გამოეგზავნა, სხვები — იმას, რომ უწილოდ არ დარჩენილიყვნენ.

ერთი თვის შემდეგ კი ყველაფერი გაირკვა: ტრესტის მმართველობამ ახალ მოადგილედ მეცნიერებათა კანდიდატი გამოგზავნა, რაჟდენიჩი კი განყოფილების გამგედ გადაიყვანეს!..

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲡᲐᲜᲐᲙᲝᲔᲕᲘ

422
29.VI 1987

ვიწყებთ გარდაქმნას!

ნეოიუმორესკა

როცა დირექტორმა თათბირზე თვალების ბრიალით გამოგვიცხადა, ძირეულად უნდა გარდაიქმნათ, თორემ თქვენი ლანდი არ იქნება სამსახურშიო, ჩვენც ავდექით და დავიწყეთ გარდაქმნა:

ვინც სამუშაო საათებში სამსახურში ან რესტორნებსა და სახინკლეებში სვამდა, ახლა, ნურას უკაცრავად — თავის სახლში ზის ჩუმად და სვამს!

ვინც მთელ დღეს ჭადრაკს თამაშობდა და საათობით ერთ სვლაზე ფიქრობდა, ახლა შაშს თამაშობს — უცებ წააგებს ან მოიგებს და დროსაც იგებს!

ვინც სამსახურში დაგვიანებით ცხადდებოდა და ატუზული იდგა შემოსასვლელში და ვახტიორიც არაფერს არ ეუბნებოდა, ახლა ჩუმად ღობეზე თუ გადაძვრება ან სხვა საიდუმლო ხვრელით შეიპარება სამუშაო ობიექტზე!

ვინც სამსახურიდან ადრე გარბოდა, ახლა მთელ დღეს ადგილზე ზის და ამთქნარებს — ვადაზე ადრე, რომ მოკლა, ფეხს ვერ მოაცვლევინებ სამუშაოდან!

ვინც უფროსებს პირში ეუბნებოდა სიმართლეს და ნაკლოვანებებზე მიუთითებდა, ახლა ჩუმად ლანძღავს და ჭორავს!

ვინც სახელმწიფო დოვლათსა და ქონებას იტაცებდა, იპარავდა და თავისუფლად გაჰქონდა საწარმოს ტერიტორიიდან, ახლა აგროვებს და ადგილზევე საწყობში მალავს — დღისით, მზისით გატანას ვერ ბედავს და ხელსაყრელ მომენტს ელოდება!

ვინც სამსახურს უმიზეზოდ აცდენდა, ახლა ცნობა მოაქვს, რომ სამუშაოზე ვერ გამოდის საპატიო მიზეზის გამო!

ვინც ყალბ სამედიცინო ბიულეტენს წარმოადგენდა ხოლმე ადრე, ვითომ ავად იყო და კვდებოდა (სინამდვილეში მოსკოვის „გუმში" ან „ცუმში" იდგა საათობით რიგში), ახლა სახლში ზის და რომ შეამოწმო (რასაც წინასწარ ვატყობინებთ), ლოგინში [illegible] წამოწოლილი დაგვხვდება!

ქალები რომ თავიანთ სამუშაო კაბინეტებში დღისით, მზისით, ყველას თვალწინ დეფიციტური ნივთებით ვაჭრობდნენ და სპეკულანტობდნენ, ახლა ისე არიან დაშინებული, ტუალეტის კარს ჩაკეტავენ ხოლმე და იქ ყიდიან რამერუმეებს. ყავაზეც კი მხოლოდ მაშინ მკითხაობენ, როცა უფროსი გასულია და დაბარებული აქვს, რომ იმ დღეს აღარ მოვა. ის კი არა და, წარმოიდგინეთ, სამსახურში ძილსაც კი ვერ ბედავენ, თავს ითავისუფლებენ, ცუდად ვარო, და სახლში მიდიან დასაძინებლად!

ვინმე რომ მთვრალი გამოცხადდეს სამსახურში, უფროსი იმ წუთში შინ აგზავნის მანქანით, თითქოს სადღაც დავალების შესასრულებლად გაუშვა!

ვინც ნიჭიერი, თავისი საქმის მცოდნე, კარგი სპეციალისტია და ადრე არავინ არაფერს ეკითხებოდა, დღეს, პირიქით, ყველაფერს იგი აკეთებს, უსაქმურებსა და უვიცებს არც არაფერს ავალებენ და არც აძლევენ უფლებას მცოდნე კაცს ხელი შეუშალონ (მარტო ხელფასს აძლევენ!).

ყოველ დილით რომ საათნახევრიან თათბირებს ვატარებდით, ახლა ორ დღეში ერთხელ ვატარებთ, ოღონდ — სამსაათიანს!

მამაკაცები რომ ჩვენს ქალებთან სიყვარულობანას თამაშობდნენ, ახლა მეზობელი საწარმოს ქალებს ეარშიყებიან!

აი, ასე ნელ-ნელა და თანდათან დავიწყეთ გარდაქმნა!..

ვანო ცინცაძე

ნახ. ბ. ზუბაშვილისა



უსიტყვოდ

ნახ. ი. ყეინაშვილისა

უსიტყვოდ

ბიუროკრატი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე დერეფანში ვდგავარ და ვიცდი,
როდის გამიღებს მდივანი კარებს,
როდის დაიწყებს მმართველი სიცილს
და მერე ხმის ტემბრს როდისღა არევს!..

როდის მორჩება ვიღაცის ლანძღვას,
ჰიქაში „ბორჯომს“ დაასხამს როდის,
როდის მიირთმევს ყავას და ნამცხვარს!..
მოკლედ, საშველი არა აქვს ლოდინს!..

ო, ეს ლოდინი მე მკლავს და მარბევს,
აქ საღამომდე ვიდგები, მჯერა!..
მდივანი ქალი იღებავს წარბებს,
ერთხელ არ მესვრის ასული მზერას!..

გამოვარდება მმართველი უცებ:
— მე წავედიო! — ამის თქმას ასწრებს...
და ვჰმუჭნი ხელში დაჭერილ ფურცელს,
თავს ვეღარ ვუყრი არეულ აზრებს!..

მდივან ქალს ლამის სახეში ვპერტყე
(ნება რომ დამრთონ, ალბათ მოვკლავდი!).
ღმერთო, ჩემსავით აწვალე ერთხელ
ყველა გულცივი ბიუროკრატი!..

ჯონი გაზერაშვილი

გასახმოვანებელი დიალოგები

სტუმარ-მასპინძელი

მასპინძელი: ნახე, რამდენი ნივთის პატრონი ვარ!
სტუმარი: პატრონი კი არა, ნივთების მონა გამხდარხარ!

მეგობრები

— რაც უფრო გამდიდრდი, მით უფრო წუწურაქი გახდი, ჩემთვის არაფერი გემეტება! რუსთველმა ხომ თქვა, რასაცა გასცემ შენია, რას არა, დაკარგულიაო?

— უფრო ადრე სენეკამ თქვა, მეგობარმა გული რომ გთხოვოს, არ მისცე, ურჩიე, მოთხოვნები შეიზღუდოსო!

ნათესავთან

— რად გინდოდა, ამდენი ბროლის თასი რომ დაგიხვავებია?

— როგორ თუ რად?!. ქონებაა, სახელია!..

— ეგ რა სახელია, შე კაცო?! სახელი დიოგენემ დატოვა: ერთი ტოლჩა ჰქონდა და ისიც გადააგდო, ზედმეტი ყოფილაო! ეს ამბავი 23 საუკუნეა ახსოვს კაცობრიობას!

ფეხოსანი და მანქანოსანი

ფეხოსანი: ძველი რომის სენატის ლიდერი კატონ უტიკელი ეტლში არ ჯდებოდა, შიშველი ფეხებით დადიოდა!.. შენ სად მიგეჩქარება, ძრავის რახუნითა და მავნე გამონაბოლქვით ქვეყანას რომ აწუხებ?!. ჰამაც დაგაკუტებს სულ მანქანაში ჯდომა!

მანქანოსანი: რა ვქნა, ორი მანქანა მყავს და, თუ არ ვატარე, დამეჟანგება!

ფეხოსანი: დიდი სატანჯველი გქონია!.. კიდევ კარგი, სამი არა გყავს!

ფუნქციური დამოკიდებულება

მყიდველი: მათემატიკოს კაცს ანგარიშში მატყუებ?!
გამყიდველი: აბა, რა ვქნა, რეპეტიტორები იმდენს მთხოვენ მათემატიკაში შვილის მოსამზადებლად!

პროტექცია

პროტეჟე: არა გრცხვენია, ამდენ ქრთამს რომ იღებ?
პროტექტორი: შენ ეგ იკითხე, მე რამდენს ვაძლევ!

საოპერაციოში

პაციენტი: ოდესღაც სამედიცინოში მისაღებ გამოცდებზე კომისიის წევრი ვიყავი, ცოტა შეღავათი არ მეკუთვნის?
ქირურგი: მაშინ ჩემს ჩარიცხვაზე მამაჩემმა რაც ხარჯი ნახა, ორმაგად უნდა ამოვიღო!

ამაოება ამაოებათა

— ამაოება ამაოებათა და ყოველივე ამაო. — უთქვამს თურმე სოლომონ მეფეს. ნეტავ, ისეთი რა გაუჭირდა?

— როგორ თუ რა გაუჭირდა?! — სამასი თუ ხუთასი ცოლი და ათას ორასი ხარჭა ჰყავდა, თანაც ქვეყნის სიმდიდრეს ფლობდა, მაგრამ ბრძენი იყო და მიხვდა, რომ ზედმეტი ყველაფერი ამაოებათა ამაოებაა!

აპოლონ ბასილაია

7-87

ნახ. ბ. ნორჩაძისა



87-422

სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“ № 12 (1742). ივნისი. გამოდის 1923 წლის ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი ზაურ ბოლქვაძე

სარედაქციო კოლეგია:

ავთანდილ ადეიშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), **ჭაბუა ამირეჯიბი, ნომადი ბართაია, ბორის გურგულია, რევაზ თვარაძე, ჯემალ ლოლუა, ნოდარ მალაზონია** (მხატვარ-რედაქტორი), **ალექსანდრე სამსონია, ბეჟან სიხარულიძე,** (მთავარი რედაქტორის მოადგილე), **ჯანსუღ ჩარკვიანი, თამაზ წივწივაძე, ნაფი ჯუსოითი.**

ტექნიკური რედაქტორი **ირაკლი დუნდუა**

გადაეცა ასაწყობად 22. 05. 87 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 11. 06. 87 წ. ქაღალდის ზომა 60×90 1/4, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 1,5, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 1,9, საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა, ლენინის 14. შეკვ. 1336. უე 04875. ტირაჟი 144.000. ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ჩვენი მისამართი: 380008. თბილისი-8, რუსთაველის პროსპექტი № 42.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-55-54, მთ. რედ. მოადგილის — 93-19-42, პ/მგ მდივნის — 93-10-78, მხატვარ-რედაქტორის — 99-02-38, განყოფილებათა გამგეების — 93-49-32, რედაქტორ-ლიტმუშაკების — 99-02-38, მდივან-მემანქანის — 99-76-69.

Сатирико - юмористический журнал «НИАНГИ». (На грузинском языке). Тбилиси, пр. Руставели № 42. Издательство ЦК КП Грузии, Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, улица Ленина № 14.

ფასი 20 კაპ.
ინდექსი 76137

КОНТРОЛЬНЫЕ